2019 წლის 17 ოქტომბრის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (CMR 190161742) შეთანხმება N 161/1

ქალაქი ფოთი **,,26"** ნოემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი, შემდეგში ,,შემსყიდველი", წარმოდგენილი ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის გოჩა კურდღელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,მეგაკონსტრუქცია", შემდეგში ,,მიმწოდებელი", წარმოდგენილი მისი დირექტორის გერონტი ბერიას სახით ვთანხმდებით, 2019 წლის 17 ოქტომბრის, გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე:

2019 წლის 17 ოქტომბრის, N 161 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის სამართლებრივი საფუძველი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახური, 2019 წლის 21 ნოემბრის, N 03/5497 მოხსენებითი ბარათით ითხოვს, ქალაქ ფოთში ავტობუსების ავტოპარკის მშენებლობის პროექტირება-ექსპერტიზის შესყიდვის მიზნით, 2019 წლის 17 ოქტომბრის, გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადის ცვლილებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 2019 წლის 17 ოქტომბრის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულების მე-7 მუხლის, 7.1 პუნქტის საფუძველზე შევთანხმდით:

1. შეიცვალოს, 2019 წლის 17 ოქტომბრის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2019 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით".
2. შეიცვალოს, 2019 წლის 17 ოქტომბრის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულების მე-10 მუხლის 10.1 პუნქტი და იგი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: ,,10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 15 იანვრის ჩათვლით".
3. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2019 წლის 17 ოქტომბრის, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 161 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, მოქმედებს მასთან ერთად, განიხილება მასთან მთლიანობაში და მასზე ვრცელდება ყველა ის მუხლი, რომელიც მოცემულია ხელშეკრულებაში.
4. ნებისმიერი დამატების ან ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით. ამასთან, ცვლილება ან დამატება შესრულებული უნდა იყოს წერილობით, სათანადოდ ხელმოწერილი, მხარეთა მიერ.
5. ხელშეკრულების სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.
6. მხარეთა იურიდიული მისამართი და რეკვიზიტი:

,,შემსყიდველი"

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი
მის: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა N 12,
ს/კოდი: N 215138143,
ბ/კოდი: TRESGE22,
ა/ნომერი: GE24NB0330100200165022

,,მიმწოდებელი"

შპს ,,მეგაკონსტრუქცია" ს/კოდი: 215144699,
მის: ქალაქ ფოთი, რეკვავას ქუჩა N 61/9.
სს ,,ვი თი ბი ბანკი ჯორჯია", ბ/კ UGEBGE22.
ა/ნ: GE 18 VT0600000013573605.

Gocha Kurdgelia Digitally signed by Gocha Kurdgelia Date: 2019.11.26 09:31:59 +04'00'

Geronti Beria Digitally signed by Geronti Beria Date: 2019.11.26 12:21:53 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი მერი
გოჩა კურდღელია

დირექტორი
გერონტი ბერია

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქალაქი ფოთი **,,26"** ნოემბერი 2019 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა კურდღელია ვადასტურებ, რომ არ ვიმყოფები შპს ,,მეგაკონსტრუქცია"-სთან ინტერესთა კონფლიქტში.

Gocha Kurdgelia
Digitally signed by Gocha Kurdgelia
Date: 2019.11.26 09:32:40 +04'00'

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი
გოჩა კურდღელია